ხობის მოამბე

№10 (7150)
15 სექტემბერი, ხუთშაბათი.
2022 წელი.
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

დღეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა დაიწყო... გილოცავთ!

ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო და მშობლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

განსაკუთრებით ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების პირველკლასელებს - მათ, ვინც პირველად შეაღო დღეს სკოლის კარი, თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი პერიოდი იწყება, მჯერა, რომ სკოლაში გატარებული წლები იქნება საინტერესო და დაუვიწყარი თავგადასავლებით სავსე.

მინდა თითოეულ მოსწავლეს წარმატება გისურვოთ ამ საინტერესო და გამოწვევებით სავსე გზაზე, მჯერა, რომ თქვენი შემართებით, განახლებული ენერგიითა და მასწავლებლების ჩვეული თავდადებით, დაეუფლებით დიდ ცოდნას, რომელიც მომავალში, თქვენი პროფესიონალიზმის მთავარი საფუძველი იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში, რისი მთავარი საწინდარიც, სწორედ სკოლაში მიღებული სრულყოფილი განათლება იქნება.

გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს!

დავით ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მშობლებო! გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ ნაყოფიერ, წარმატებულ და მნიშვნელოვან მიღწევებს მეცნიერების სამყაროს შემეცნებაში.

განსაკუთრებული სიყვარულით მინდა მივულოცო პირველკლასელებს, რომლებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარებს, საიდანაც დაიწყება მათთვის ყველაზე საინტერესო ცხოვრების ეტაპი.

მინდა გჯეროდეთ, რომ ხელისუფლება მუდამ იზრუნებს მოსწავლეთათვის კომფორტული და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად, რადგან თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი და თქვენს განათლებაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა.

გისურვებთ გამარჯვებებს, ცოდნის მოპოვების გზაზე ურთულეს გამოწვევებთან, რათა ჩამოყალიბდეთ სრულყოფილ მოქალაქეებად და ღირსეული მამულიშვილობა გაუწიოთ ჩვენს სამშობლოს.

ლევან ქავთარაძე,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

9 სექტემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ

კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს.

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 38,5 ათასი ლარით „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და ბიუჯეტის შემოსულობები ამ ეტაპზე შეადგენს 21339,7 ათას ლარს.

მერიის წინადადების თანახმად, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის განხორციელებისა და რეორგანიზაციის საფუძველზე ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, შიდა გადანაწილებების განხორციელების შესახებ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიეცა თანხმობა სკოლისთვის სსიპ ილია ქვარცხავას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელის მინიჭების თაობაზე.

ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ოხვამეკარში არსებული წყლის სისტემა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩაუტარდა რეაბილიტაცია და 2022 წლის 15 თებერვლიდან შესულია ექსპლოატაციაში, მოვლა-პატრონობის მიზნით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცა შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“, რაზედაც მიღებულიქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

სხდომაზე ასევე განიხილეს განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზეც, აუქციონის წესით, საპრივატიზებოდ მზადდება ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სკვერის რეაბილიტაციის შედეგადაც მიღებული 50 კვმ შერეული ფორმის მეორადი ბაზალტის ფილები.

განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს“ სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაეცა ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ეროვნულ გამოცდებზე 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელები

ნინო წურწუმია

(ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი–საერთაშორისო ურთიერთობები.

მარიამ ლემონჯავა

(ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლა), საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

ქეთი გაბრავა

(პირველი მაისის საჯარო სკოლა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი–საერთაშორისო სამართალი.

„ხობის მოამბე“ გილოცავთ პირველ გამარჯვებულ ნაბიჯებს და გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს.

სასკოლო ცხოვრების გმირი

ვისაც პუბლიცისტიკაში უცდია კალამი, დამეთანხმება, რა მძიმე და შრომატევადი სამუშაოა „მასალის აღება“ და შემდეგ ამ „მასალის“ შესაფერის ჩარჩოებში მოქცევა. უფრო მეტიც, თუკი პერსონაჟი, ვისზედაც უნდა ააგო მასალა, საზოგადოების რჩეული, სიყვარულით გარემოსილი, მკაცრი და ამავდროულად მოარული სიკეთე შენი სუ-

ლის ნაწილი და ახლობელი ადამიანია. დამეთახმებით, რომ ძნელი არა, მაგრამ არც ისე ადვილია...

ამთავითვე ვიტყვი, ცისანა ცხადაია–სასკოლო ცხოვრების გმირია, იგი ხვალინდელი დღის ტაძარს აშენებს, ტაძარს რომლის საძირკველი მაგარი და მშვენიერია.

იგი თითქმის 37 წელია წერს ცხოვრების წიგნს, რომლის წაკითხვა მეტად სასიამოვნოა...

ეს მერამდენად თენდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისის ღამე, თითქმის ყველა ოჯახში სასექტემბრო სამზადისია, უფროსები ზრუნავენ, რომ პატარებს ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდეთ. არიან პედაგოგები, რომლებიც ასევე ცდილობენ, ეს დღე იყოს განსაკუთრებული, მონატრებულ მაოსწავლეებთან შეხვედრის.

სხვა საზრუნავი (დატვირთული) დღე აქვთ დირექტორებს.

შუა ქვალონის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ცისანა ცხადაიას ნაცნობობას სხვა რომ არა, მისი დაფრთიანებული, უკვე ჭაღარაშერეული „გოგობიჭები“, ეყოფა.

ქალებს ასაკს არ ეკითხებიანო, ქალი იმდენი წლისაა, რამდენისაც გამოიყურებაო... ნოჯიხევში დაბადებულა პედაგოგების ლილი კარტოზიას და ივლიანე ცხადაიას დაფასებულ, თითით საჩვენებელ ოჯახში, ქალბატონი ლილი სბავშვო ბაღის გამგე ყოფილა წლების განმავლობაში.

–ოჯახში 4 და-ძმა გავიზარდეთ, ოთხივემ მივიღეთ უმაღლესი განათლება. ჩვენი მშობლების ყოველდღიური საზრუნავი იყო შვილებისთვის ცხოვრების სწორი მიმართულება, საუკეთესო განათლება მიეღოთ. ამავდროულად ბუნებრივად ჰქონოდათ სიკეთის კეთების უნარიო,–იტყვის ხშირად ქალბატონი ცისანა და ხმაში სიამაყე „ეპარება...“

ნოჯიხევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრება, თუმც განაწილებით შუა ქვალონის სკოლაში უნდა ესწავლებინა ახალბედა მასწავლებელს, მაგრამ ნოჯიხევის საშუალო და კუთხე ნოჯიხევის სკოლა ჩაანაცვლა. დღემდე სითბოთი იხსენებს სულმნათ დირექტორებს, ბატონებს ანტონ გოგიას და ალექსანდრე გარუჩავას. „სწორედ მათთან მუშაობამ განსაზღვრა, ჩემი მომავალი სასკოლო ცხოვრებაშიო“,–მეუბნება.

7 წელი ნოჯიხევის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ...

თავად მიყვება:

–1985 წელს გადამიყვანეს ქვემო ქვალონის №2 საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც გამოცდილი და ყველასთვის საყვარელი პიროვნების, ალექსანდრე ცხადაიას შეცვლა და მის გვერდით მუშაობა მომიწია.

პედაგოგიური მუშაობის 46 წლის ისტორია მაქვს და აქედან დირექტორად 37 წელი შუა ქვალონის საჯარო სკოლაში. მეამაყება, რომ დიდი ისტორიის სკოლას ვხელმძღვანელობ.

სკოლა დაარსებულია 1883 წელს, როგორც შუა ქვალონის დაწყებითი სკოლა. შემდეგ წლების განმავლობაში იყო არასრულიც, იყო სახელების შეცვლის ისტორიაც–ხან შუა ქვალონის, ხან ქვემო ქვალონის №2, როგორც ვიცი, ამჟამად ისევ იბრუნებს თავის პირვანდელ სახელს და იქნება „სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა“.

2023 წელს სკოლას უსრულდება არსებობის 140 წლის ისტორია. რაც თავისთავად ნიშნავს მის კედლებში თაობების 140 წლიან ცვლას, საინტერესო, საკმაოდ წარჩინებული, საზოგადოებისთვის წარმატებული ადამიანების უამრავ კურსდამთავრებულს.

დღემდე, 37 წლის მანძილზე მუშაობამ მომიწია 100-მდე პედაგოგთან, მათთან ყოველთვის კოლეგიალური, მეგობრული, პროფესიული, მხოლოდ საქმის სიყვარული, მოსწავლის ინტერესები მაკავშირებდა.

დღეს სკოლაში დასაქმებულია 23 პედაგოგი ამათგან ორი წამყვანი, 21 უფროსი მასწავლებელი, ერთი სპეციალური მასწავლებელია. სკოლას ყავს 31 თანამშრომელი.

პედაგოგიური კოლექტივი ერთსულოვანია, რაც შეიძლება შესაშურიც იყოს დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე, მაგრამ ერთმანეთის გატანა, ნდობა, პროფესიული ინტერესი, სკოლის სახელი და მომავალი თაობების სწორად აღზრდა არის თითოეული პედაგოგის მიზანი, რაც მტკიცე საფუძველია მომავალი თაობების ჩამოყალიბებისთვის.

2021-2022 სასწავლო წელს სრული კურსი დაამთავრა 7 მოსწავლემ, აქედან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში აბარებდა 4. სასიამოვნოა ის, რომ ოთხივემ წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ვიმედოვნებთ, 140 წლის ისტორიის მქონე სკოლა თავის იუბილეს 2023 წელს რეაბილიტირებული შეხვდება“.

მეც იმედიანი ვუყურთდები მის სურვილებს.

მის ცხოვრებას ნაღველისა და ტკივილის გარეშე არ ჩაუვლია. აღარ არიან მშობლები, ძმა თენგიზი, ძმისშვილი. არ იყო ადვილი ამ ტკივილების გადატანა ისე, რომ მოსწავლეებს, მის საამაყო კოლექტივს არ ეგრძნოთ მისი სულიერი ტკივილი. სწორედ, მაშინ გამოჩნდა ცისანას ძლიერი ბუნება, რაც თავისებურად მეტად დასაფასებელია...

საუბარი ისე დავამთავრეთ, მას არ უხსენებია, რომ იგი დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით“ და „ღირსების ორდენით“.

ეს კიდევ ერთი შტრიხია მისი ღირსეული ცხოვრებიდან. დირექტორის მოგონებების სკივრი ბევრს იტევს. სასიამოვნოა მასთან საუბარი, მეგობრობა კი ნამდვილად საამაყო.

...ასე მგონია ერთად გავიზარდეთ, იმდენად ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს... თუმცა ამაზე ხმამაღლა არასოდეს ვამბობთ... სულით ხორცამდე ინტელიგენტი, სოფლის თითოეული ოჯახის სასურველი და საამაყო სტუმარი–ეს ეპითეტები ავსებს მის ბიოგრაფიას... ეს არის ის სიამაყე, რაც გვაძვლევს უფლებას ქედი მოვიხაროთ და მივულოცოთ კოლეგებთან ერთად მისი მოღვაწეობს 46-ე სექტემბერი...

ზემოთ ვახსენე „მასალის“ ჩარჩოებში მოქცევა, მოვახერხე კი?

მერი ლაგვილავა.

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო წელი 19 სექტემბერს დაიწყება

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ შემავალი 25 სტრუქტურული ერთეული ახალი 2022-2023 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყებად ემზადება, რომელიც 19 სექტემბერს დაიწყება. ჩარიცხულია 894 აღსაზრდელი, დაკომპლექტებულია 53 ასაკობრივი ჯგუფი. ყველა ბავშვი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია და აქვს შესაბამისი ასაკი, მიღებულია საბავშვო ბაღში.

სკოლამდელ განათლებას პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს ადგილობრივი მთავრობა. მათი მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით საბავშვო ბაღების მოსაწესრიგებლად რამდენიმე პროექტი ხორციელდება.

უახლოეს დღეებში დასრულდება ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს შემოღობვითი სამუშაოები, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს. მისი სახელშეკრულებო ღირებულება 29 268 ლარია.

პროექტ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდება პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღის პირველი სართულის რეაბილიტაცია, რისთვისაც 42 680 ლარი დაიხარჯება და გურიფულის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, რისთვისაც 11 640 ლარია გამოყოფილი.

საბავშვო ბაღების კვების ბლოკებში წარმატებით დაინერგა „საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები“ (HACCP).

როგორც ყოველთვის, წელსაც დაცული იქნება ბავშვებისთვის განკუთვნილი კვებითი რეგლამენტი, რომლის შესაბამისადაც, სეზონური მენიუს (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) ფარგლებში ბავშვებს შევთავაზებთ ოთხჯერად კვებას (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი), რომელიც დაბალანსებული იქნება მრავალფეროვანი პროდუქტებით, კალორაჟის დაცვით. შემოდგომის მენიუს მიხედვით, ერთ ბავშვზე გათვლილმა კვების ღირებულებამ 5,078 ლარი შეადგინა.

გაერთიანება მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე.

სკოლამდელმა სააღმზრდელო გაერთიანებამ სტრუქტურული ერთეულების აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით შექმნილი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები „ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში“ (I-II ნაწილი) და რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“, დააბეჭდვინა, რომლის დასანერგად აღმზრდელ-მასწავლებლებთან ჩატარდა ტრენინგ-სემინარი, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვას ყველა სბავშვო ბაღში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 ივნისის 68/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ მიხედვით 2024 წლამდე უნდა განხორციელდეს საბავშვო ბაღის პერსონალის გადამზადება. გაერთიანების ბიუჯეტიდან 16 აღმზრდელ-მასწავლებლი უკვე გადამზადდა. სექტემბერ-ოქტომბერში, შიდა შესარჩევი კონკურსით შერჩეული კიდევ 16 აღმზრდელ-მასწავლებელი გადამზადდება.

სპმთპ-ის ხობის რაიონული ორგანიზაციის დაფინანსებით, სტრუქტურული ერთეულების მთავარი სპეციალისტებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სბავშვო ბაღებში ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს, ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „ბავშვთა უფლებები და ბულინგი“. აღნიშნული ტრენინგი მათ დიდ დახმარებას გაუწევს ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებასა და უსაფრთხოების დაცვაში.

დაგეგმილია გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების კვების ბლოკის თანამშრომლებისთვის ტრენინგი, რომელიც მათ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სერთიფიკატის ვადას განუახლებს.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კონკურსის „მწვანე ჯილდო 2022“-ის ფინალისტი უკვე მეორედ გახდა ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი აღმზრდელ-მასწავლებელი ინგა მჟავანაძე და მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა დიპლომით, ფასიანი საჩუქრითა და ფულადი ჯილდოთი.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება, თავის მხრივ ფულადი ჯილდოთი წაახალისებს წარმატებულ აღმზრდელ-მასწავლებელს.

ახალი სასწავლო-საალმზრდელო წლისთვის, ბაღებისთვის შეძენილიქნა სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი.

სბავშვო ბაღების გახსნამდე შპს „ჰიგია“ ყველა სბავშვო ბაღში სადეზინფექციო სამუშაოებს ჩაატარებს.

15 აგვისტოს, ქუთაისში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პროექტის და ტექნიკური რეგლამენტების გადამუშავებული ვერსიების საჯარო განხილვა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების დირექციამ.

წინ დიდი გამოწვევებია. სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანება ავტორიზაციისთვის ემზადება. გვჯერა, სბავშვო ბაღების წინაშე მდგარი პრობლემები ადგილობრივი თვითმმართველობის სრული მხარდაჭერითა და თანადგომით კვლავ წარმატებულად იქნება დაძლეული, რომ ღირსეულად ვუპასუხოთ ამ გამოწვევებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სასწავლო-საალმზრდელო წელი მივულოცო თითოეულ აღსაზრდელს, მშობელს, სბავშვო ბაღის თანამშრომელს და ვუსურვო უსაფრთხო, ნაყოფიერი და წარმატებული წელი.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

დავიწყებ იმით, რომ არსებობს ადამიანი–პოლიტიკოსი, რომელსაც არ უნდოდეს თავისი საკუთარი ქვეყნის სიკეთე და საქმის გაკეთება... ცხადზე, ცხადია, როცა ადამიანი იკავებს საპასუხისმგებლო თანამდებობას, ხელი უნდა დაატყოს ყველაფერს... ეს არის შენი უშუალო მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ამისთვის გვაქვს ხალხისგან მინიჭებული ეს უფლება.

■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■ ■

ნომრის სტუმარია კობა გერგაია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში.

„გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაკეთოთ ღვთისნიერი საქმეები...“

მოგესალმებით ბატონო კობა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს აინტერესებს თქვენი წარსული, ოჯახი, მოგონებები.

გვიამბეთ თქვენზე.

–დავიბადე 1969 წლის 11 ოქტომბერს, ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში. საშუალო სკოლა იქვე დავამთავრე, მყავს დედა, ძმა, მეუღლე და ვაჟიშვილი ნიკოლოზი.

ადამიანი ბუნებით განახლებადია, ლტოლვა აქვს ცვლილებებისკენ. ბოლოდროინდელი ცვლილებები შევაფასოთ–თქვენი გზა ხელოვნებიდან პოლიტიკამდე?

–პროფესიით ქორეოგრაფი ვარ და სასიამოვნო მოგონების უმეტესობა უკავშირდება ამ პროფესიას. ცეკვაზე სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ჩემი დეიდაშვილი ჟიული ლატარია, რომელიც მუსიკის პედაგოგია, დაჟინებით თხოვდა დედაჩემს შევეყვანე ცეკვაზე, ქორეოგრაფ თენგიზ ჩიტაისთან. მაშინ ჩემთან ერთად ცეკვავდნენ: ნინო კემულარია, ლევან ქავთარაძე, პაატა ჭითაშვილი, გერონტი ლეფსაია, თენგო გერგაია. პირველად ვცეკვავდით ყოფილ პიონერთა სახლის ძველ, ორსართულიან შენობაში. 1978 წელს, უკვე კულტურის სახლში გადავედით და იქ გავდიოდით რეპეტიციებს. პირველი ცეკვა, რომელიც საზოგადოების წინაშე ვიცეკვე, იყო „ყაზბეგური“, სოლისტები მე და ნინო კემულარია ვიყავით.

1981 წელს გაიხსნა რაიონული კულტურის სახლი და ქორეოგრაფიული სტუდია, რომლის დირექტორად დაინიშნა როსტომ (ზურაბ) იაშვილი. პირველი რეპეტიცია ჩაგვიტარა ფრიდონ სულაბერიძემ, მანვე დაგვიდგა ცეკვა „ოთხთა მთიულური“ (სოლისტი გოგო იყო ნინო ჩიქოვანი (ზემო ქვალონი). პირველად „თბილისობაზე“ ვიცეკვეთ.

რამ განაპირობა პირველ მაისში დეპუტატობის კანდიდატად თქვენი წარდგენა?

–ჩემი სფერო ხელოვნებაა. ვარ ცეკვის პედაგოგი, ვასწავლი ყველა თაობის ბავშვებს. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ვეცდები ჩემი სოფლის კეთილდღეობას, მის გაძლიერებას, უკეთეს მომავალს შეძლებისდაგვარად არაფერი დავაკლო. პოლიტიკაში მოსვლა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ვეცდები, პოლიტიკაში ყოფნით სოფელს ღირებული გავუკეთო...

თქვენი თვალით დანახული წარსული, აწმყო, მომავალი?

–იავარდით მოფენილი არცერთი დრო არ იყო. ძალიან მწარედ მახსენდება სამოქალაქო ომის პერიოდი, მაშინ ფოთის სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდით და ბევრჯერ რეპეტიციის მერე ფეხით წამოვსულვართ ხობში.

ჩვენმა სამშობლომ მრავალი ქარტეხილი გადაიარა. თქვენ, როგორც ამ ქვეყნის შვილს და ერთერთ გულშემატკივარს, გეიმედებათ ხვალინდელი დღის?

–კაცი იმედით ცხოვრობს, მოდის ახალი თაობა, ნიჭიერი, წიგნიერი, თანამედროვე ტექნიკას დაუფლებული, მთავარია, ეროვნული სულისკვეთება არ ჩაკვდეს. ქართული ღირებულებები არ გაუფასურდეს, ქალი-ქალს ჰგავდეს, კაცი-კაცს. იყო პატრიოტი და აკეთო შენი ქვეყნის სასიკეთო საქმეები.

მაშინ აქვე გკითხავთ, თქვენ, როგორც დეპუტატს სოფელთან მიმართებაში, ალბათ, გაქვთ შესაბამისი თქვენეული ჩანაფიქრი.

–სოფელს, რომელსაც მდინარე ჩამოუდის, განსაკუთრებით მიმზიდველი და ლამაზია. ტურისტულ ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ადგილები გვაქვს, ციხე-გოჯი „ყურუმულა“, „ჩხაია“, „მაჩხომერი“ სადაც ორი წლის უკან ჩატარდა გათხრები და აღმოჩნდა მე-4 საუკუნის სამარხი, საინტერესო არტეფაქტებით. მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, ჩასატარებელია კვლევა, ვფიქრობ, მეცნიერული თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იქნება და ტურისტებსაც მოიზიდავს. სოფელს უნდა ჰქონდეს კეთილმოწყობილი კულტურული ობიექტები, რათა მომავალ თაობას შეეძლოს თანამედროვე სტანდარტებით სარგებლობა (კლუბი, ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ცენტრი).

აკეთებთ საქმეს, რომელსაც მარტო თქვენთვის მოაქვს ბედნიერება?

–მარტო ჩემს თავზე არასოდეს მიფიქრია. ერთ შვილს ვზრდი და ვცდილობ, ისეთი იყოს ქვეყანას, სამშობლოს გამოადგეს. მარტო საკუთარ თავზე ფიქრი ეგოიზმი მგონია.

რამდენად თვითკრიტიკული ხართ?

–საკმაოდ. ყოფილა შემთხვევები, როცა მინანია, მივხვდი, რომ ცუდად მოვიქეცი ან ზედმეტი მომივიდა. სადაც საჭიროდ ვთვლი, ბოდიშის მოხდაც შემიძლია, არ მიჭირს...

პრინციპი, რომელსაც ვერ უღალატებთ?

–რწმენა, სამშობლო, ოჯახი.

რა მიგაჩნიათ ადამიანის მთავარ დანიშნულებად?

–სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ერთგულება, პირნათლად აკეთო საქმე, რომელსაც ემსახურები.

თქვენ ხელოვანი ბრძანდებით, რომელია №1 საქმე და როგორ უთავსებთ ერთმანეთს ქორეოგრაფიას და პოლიტიკას?

–უპირველესად ქორეოგრაფი ვარ. პოლიტიკოსი, როგორც გითხარით, არ ვარ, მაგრამ ყოველთვის და ყველგან დავდგები იქ, სადაც ჩემს ქვეყანას ვჭირდები.

ალბათ გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს, მთავარია საქმეს გულით მიუდგეთ. ხომ მეთანხმებით?

–არასოდეს არ თქვა, არასოდეს: გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

როგორია კობა გერგაია ოჯახში?

–ვცდილობ ვიყო კარგი მამა, მეუღლე და ქართული ტრადიციის შესაფერისი მასპინძელი. მობრძანდით და ვნახოთ.

და ბოლოს, თუ გსურთ, მიმართოთ თქვენი სოფლის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

–გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაკეთოთ ღვთისნიერი საქმეები, დავეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილებს, იმათ, ვისაც გეიმედებათ, ვისაც ჩვენი გულწრფელი დამოკიდებულების სჯერა... მთავარია, არ დავკარგოთ უფალთან მისასვლელი გზები.

გისურვებთ წარმატებებს. მადლობას გიხდით საინტერესო საუბრის და მოწვევისთვის.

–მადლობა თქვენს გაზეთს, რომ ჩემი პერსონით დაინტერესდით.

ნაირა ბერაია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია სრულდება.

პროექტის შესაბამისად საქანთარიოს, საქვარაიოს, საკონჯარიოს, საღურწკაიოს უბნებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯისა და ძველი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა სანიაღვრე არხები, ხიდები და მილხიდები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები.

საკონჯარიოს უბანში გზის რეაბილიტაციის დასკვნითი ეტაპის სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

გზების რეაბილიტაციის პროექტს, რომლის ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებაც 10 მილიონ ლარამდეა, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ხობის კულტურის სახლის ფოიეში, „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (სისხლის ბანკი) ინიციატივითა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სისხლის უანგარო დონორთა აქცია - „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ გაიმართა.

დონაციის აქციაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ბერაიამ მიიღო მონაწილეობა.

„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის კომპონენტებით ამარაგებს, როგორც ბავშვთა, ისე მრავალპროფილურ კლინიკებს.

სოფელი

„სოფელი გრძნობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება!“

ხვიჩა ჭანტურია–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში

ბატონო ხვიჩა, რა არის თქვენთვის გაღმა საჯიჯაო, ხობი?

მოგვიყევით ვინ ხართ თქვენ?

–გაღმა საჯიჯაო ჩემთვის პირველ რიგში არის ჩემი წინაპრების, მამაჩემის და ჩემი დაბადების ადგილი. ეს სოფელი არის ჩემი ბავშვობა. აქ გატარებული არდადეგები ჩემს თანატოლებთან ერთად, ხობისწყალი, მდინარე ზანა, ჩემი მეზობლები და ნათესავები. მიუხედავად იმისა, აქ არ ვიზრდებოდი, გაღმა საჯიჯაო და ხობი იყო ჩემთვის საყვარელი და განუმეორებელი ადგილი. ყოველთვის მეამაყებოდა, რომ ვიყავი გაღმა საჯიჯაოდან, ესეიგი ხობელი.

დავიბადე 1959 წლის 14 სექტემბერს, 4 წლის ასაკიდან ვიზრდებოდი თბილისში მამიდასთან. დავამთავრე მუსიკალური საშუალო სკოლა. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1981 წელს ჩავაბარე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1982 წელს დავიწყე მუშაობა გაღმა საჯიჯაოს კოლმეურნეობაში ბრიგადირად, შემდეგ აგრონომად და მთავარ აგრონომად.

1990 წელს დავინიშნე ხობის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების (რაპო) თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (რაიონის მთავარი აგრონომი). გახლდით ხობის რაიონის გამგეობაში განყოფილების უფროსი, შემდეგ საკონსერვო ქარხნის დირექტორი.

1991-1992 წლებში ვიყავი საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ პრეზიდენტი.

1994 წლიდან ისევ გადავედი საცხოვრებლად თბილისში და ვმუშაობდი სხვადასხვა კერძო კომპანიებში. 1995-2010 წლებში გავხდი „ე.დ.პ.“-ს წევრი. 2020 წლიდან ვარ პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

2022 წლის იანვრიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წამომადგენელი გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში.

მყავს მეუღლე ინდირა ირემაძე–ექიმი, 3 შვილი და 1 შვილიშვილი.

მახსოვს, წინათ ცალკე სოფლად ფუნქციონირებდა გაღმა საჯიჯაო, როგორც შრომისმოყვარე და ორდენოსანი ადამიანების სოფელი. შემდეგ გააერთიანეს გაღმა და გამოღმა სოფელი... ამჟამად ისევ ცალკე გამოეყო საჯიჯაოს. მჯერა, აქ კვლავ აღორძინდება ცხოვრება. ეს სტატუსი უფრო გააძლიერებს ამ მხარეს და ახალი რიტმით დაიწყება მოქმედება. რას გვეტყვით ამაზე?

–საბჭოთა პერიოდში, გაღმა-საჯიჯაო იყო, როგორც კოლმეურნეობა და ადმინისტრაციულად შედიოდა საჯიჯაოს სოფლის საბჭოში. კოლმეურნეობა მიუხედავად იმისა, რომ არ იყო დიდი მასშტაბის, რაიონში ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავედ. ძირითადი დარგები იყო მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მესიმინდეობა და მეაბრეშუმეობა. ბევრი წარმატებული ადამიანი შრომობდა და მოღვაწეობდა სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ გაღმა საჯიჯაო მოწყვეტილი იყო რაიონის ცენტრს, სოფელში ყოველთვის იგრძნობოდა თანამშრომლობა და ყურადღება რაიონის ხელმძღვანელებისგან. ახლა, როდესაც გაღმა საჯიჯაო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო, რათქმა უნდა, მეტი ყურადღება მიექცევა და ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება.

ბატონო ხვიჩა, საინტერესოა ცოტა რამ მოგვითხროთ გაღმა საჯიჯაოზე, იქ მცხოვრებ ყოფილ მოამაგე ადამიანებზე. ალბათ, თქვენც გაწუხებთ და გაქვთ ნოსტალგია სოფელზე, გახსოვთ მისი ისტორიული წარსული.

გთხოვთ, გვესაუბროთ ბოლო დროს გაკეთებულ საქმეებზე.

–როგორც ისტორიული წყაროები იუწყება, ჩემს სოფელს ერქვა საჩიჯაო და იყო თავადი ჩიჯავების საკუთრება. ჩემს საოჯახო ალბომში ინახება დიდი ბაბუის თეოდორეს და ბაბუაჩემის პროკოფი ჭანტურიებს სურათები წარწერით, გადაღებულია სოფელ საჩიჯაოში. შემდეგ ეტყობა, ნელ-ნელა მოხდა სახელის ცვლილება და დაერქვა საჯიჯაო.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა რამოდენიმე სოფლის გაერთიანება და მთლიანად თემს დაერქვა საჯიჯაო. ხოლო ჩვენი სოფელი, ვინაიდან ხობისწყლის გაღმა იყო, დაერქვა გაღმა საჯიჯაო, რაც დღემდე შემორჩა.

გაღმა საჯიჯაო პატარა, მაგრამ კოხტა სოფელია, ძალიან კარგი და მშრომელი ადამიანებით. აქ დაიბადა გამოჩენილი ქართველი ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი ილია ქვარცხავა, რომლის სახელსაც დღეს ჩვენი სკოლა ატარებს. ძალიან ბევრი კარგი, მშრომელი და ლამაზი პიროვნება ცხოვრობდა გაღმა საჯიჯაოში, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მეშინია ვინმე არ გამომრჩეს. ყველას მინდა მოვეფერო და ლამაზად მოვიგონო მათი სახელები. მინდა მადლობა გადავუხადო სამამულო ომის და შრომის ვეტერანებს იმ თავდადებული შრომის გამო, რაც მათ გაწიეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



გაღმა საჯიჯაოში ისევე, როგორც ყველა სოფელში, ფუნქციონირებდა კლუბი, ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, საშუალო სკოლა, საფერშლო-საბებიო პუნქტი, მაღაზია, სასადილო, ცხოვრების რიტმიც ამაღლებული იყო. სამწუხაროდ, ამჟამად სოფელში მხოლოდ საჯარო სკოლა ფუნქციონირებს (დირექტორი იზოლდა გოგოლაძე), მაგრამ იმედია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების დახმარებით ისევ დაიწყებს ფუნქციონირებას სოფლისთვის საჭირო დაწესებულებები.

ბოლო პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმეები გაკეთდა სოფელში. ცენტრალური გზის ნაწილზე დაიგო ბეტონის საფარი, მდინარე ზანაზე გაიდო რკინა ბეტონის ორი ხიდი, განსაკუთრებულ რთულ მონაკვეთებზე დაიგო ბეტონის საფარი, და რაც მთავარია, დამთავრდა სოფლის გაზიფიცირების პირველი ეტაპის სამუშაოები. ასევე დაიწყება საჯიჯაო–გაღმა საჯიჯაოს დამაკავშირებელი გზის დაგება.

დაპროექტებულია საჯიჯაო–სენაკის დამაკავშირებელი გზის სამუშაოები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობა იმედიანად შეყურებს მომავალს და მალე ხალხიც იგრძნობს იმ სიკეთეს, რაც კეთდება და მომავალში გაკეთდება.

საინტერესოა, რამ განაპირობა გაღმა საჯიჯაოს ცალკე ფუნქციონირება. ალბათ ეს სოფელში ცხოვრების ახალი მუხტის შემომტანი გახდება.

რას ამბობს ხალხი, რამდენი კომლია სოფელში, რამდენი მოსახლე?

თურმე ბევრი რამ გაკეთდა, კიდევ რისი აღორძინება დაიწყება, რომ გაღმა საჯიჯაო კვლავ სრულყოფილი სოფელი იყოს?

–როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სოფელში ბევრი პიროვნება ცხოვრობდა, რომლებიც როგორც რაიონში, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით იყვნენ ცნობილები, კიდევ ერთხელ ვეფერები მათ სახელებს და პატივს მივაგებ თითოეული მათგანის ხსოვნას.

სოფელს, რა თქმა უნდა, თავისი წარსული და ისტორია აქვს, ერთ-ერთი ისტორიული ძეგლია გაღმა საჯიჯაოს „ჯიხა“, რომელიც სამწუხაროდ, მიტოვებულია, მაგრამ უახლოეს ხანში ბატონ გოგიტა ჩიტაიასთან ერთად ვაპირებთ გაწმენდა–აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

სამწუხაროდ, მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, ძალიან ბევრია გასული ქვეყნიდან, მაგრამ იმედია, უახლოეს მომავალში დაგვიბრუნდებიან და სოფელი უფრო ოპტიმისტურად განეწყობა ხვალინდელი დღისა და მომავლისადმი.

რა თქმა უნდა, ყველას გაუხარდა სოფლის ცალკე გამოყოფა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს.

ყველაფრის გათვალისწინებით ბევრი კარგი საქმის გაკეთებაც შეიძლება სოფლის აღორძინებისთის.

გაღმა საჯიჯაოში დაახლოებით 120 კომლია, 350 მოსახლით. ძირითადად მოსახლეობა დაკავებულია სოფლის მეურნეობით, ასევე სოფელში ფუნქციონირებს დაფნისა და თხილის მიმღები 2 საწარმო, სადაც დასაქმებულია 20-25 კაცი, ძირითადად სოფლის მაცხოვრებლები. ასავე, სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამით, სოფელში დასაქმდა 4 ბენეფიციარი.

იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და თქვენი ხელმძღვანელობით სოფელი კვლავ აღორძინდება. სოფელში, როგორც ხელმძღვანელმა, რა გზები დაგეგმეთ, ვისი გეიმედებათ და რისი გჯერათ?

–მე და ჩემი სოფლის მოსახლეობა წარმატებული მომავლის იმედით ვართ განწყობილნი. ჩვენ გვჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და იმედია, ძალიან მალე რეალობად იქცევა. ვინაიდან ვგრძნობთ იმ მხარდაჭერას, რასაც ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ლევან ქავთარაძე და შესაბამისი სამსახურები იჩენენ გაღმა საჯიჯაოს მიმართ.

გმადლობთ ინტერვიუსთვის!

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ინტერვიუ

სიახლეების მოლოდინით...

რევაზ წულაია–შ.პ.ს.„ხობი დასუფთავება და განათება“-ს დირექტორი

ბატონო რევაზ, ხობის მუნიციპალიტეტში ყველა გიცნობთ, რადგანაც თქვენ სხვადასხვა დროს რაიონში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდით, თუმცა მაინც გკითხავთ, ვინ არის რევაზ წულაია?

–მოგესალმებით. ვცხოვრობ სოფელ ნოჯიხევში. დავამთავრე ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში სხვადასხვა სკოლებში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. 1991 წლიდან ვიყავი ნოჯიხევის საკრებულოს წევრი და სოფლის გამგებელი. 2006 წლიდან ხობის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ასოცირებული საკრებულოს სპიკერი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი.

2021 წლის აგვისტოდან შ.პ.ს. „დასუფთავება და განათების“ დირექტორი გახლავართ.

მყავს მეუღლე ნონა ალანია–ქ. ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის მთავარი სპეციალისტი. შვილი–ირაკლი, შვილიშვილები რეზი და ლიზი.

უკვე საკმაო დრო გავიდა, რაც ამ ახალ ამპლუაში ბრძანდებით, როგორ შეეთვისეთ ამ სამსახურს თავის განსაკუთრებულობით, ასევე თანამშრომლებს. სულ რამდენი ადამიანია დასაქმებული, გყავთ ისეთებიც, რომლებიც თვით, პრემიერის გადაწყვეტილებით სახელმწიფომ დაასაქმა (რამდენია ასეთი)?

–უნდა გითხრათ, რომ კოლექტივთან შეთვისება არ გამჭირვებია. ძალიან კარგად მიმიღო კოლექტივმა. უმრავლესობასთან ადრეც მქონია, როგორც საქმიანი, ასევე მეგობრული ურთიერთობა. აპარატში დასაქმებულია 11 თანამშრომელი, ხოლო მთლიანად ჩვენს შ.პ.ს.-ში მუშაობს 71 ადამიანი.

პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამჟამად ჩვენთან დასაქმებული გვყავს 220 ადამიანი, როგორც ქ. ხობში, ასევე მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რომლებიც ძალიან აქტიურად და კარგად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ვიცი, თქვენი სამსახური მრავალფუნქციურია. მაინტერესებს დაზუსტებით განმარტოთ, რა არის ამ სამსახურის მიმართულება, რა ფუნქციები გაკისრიათ, ვინ რომელ უბანს (თუ საქმეს) ხელმძღვანელობს?

–ჩვენი სამსახურის ძირითადი მიმართულებებია მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის დასუფთავება და არსებული ელექტროგანათების მოვლა-პატრონობა, რაც საკმაოდ შრომატევადია. ამის გარდა, ჩვენ ვაწესრიგებთ ქალაქის ცენტრალურ პარკს, სკვერებს, სასაფლაოებს, საჭიროების შემთხვევაში ვაწარმოებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული ხეების მოჭრას, გადაბელვას და კიდევ სხვადასხვა სახის სამუშაობს.

მყავს ორი მოადგილე–გიორგი თათარიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს განათების მიმართულებას და ალეკო ზაქარაია, რომელიც უძღვება დასუფთავების სამსახურს.

გვყავს მთავარი სპეციალისტები მანუჩარ ბუკია, უძღვება განათების ჯგუფს, მერაბ იოსავა–დასუფთავებას და მაყვალა ლომია–პარკ-ხეივნების მოვლა-პატრონობას, გამწვანებას.

თქვენი აზრით, როგორია ხალხის განწყობა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიმართ. არის ჯერ კიდევ მოუგვარებელი და გადასაწყვეტი საქმეები?

–ჩვენი სამსახური ძალიან შრომატევადი და მოცულობითია. გამომდინარე აქედან, რათქმა უნდა, მოსახლეობაც ვერ იქნება აბსოლიტურად კმაყოფილი, მაგრამ ჩვენ მაინც ვგრძნობთ მათ კეთილგანწყობას ჩვენი სამსახურის და ჩვენი მუშაობის საკმაოდ მძიმე შრომის მიმართ, რომლებიც დარში თუ ავდარში ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

მოსაგვარებელი საკითხები ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, როგორც დასუფთავების, ასევე განათების, საინაღვრე არხების მოვლის მიმართულებით. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად გავაკეთოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობები.

თქვენი სამსახურის მომსახურება ქალაქის გარდა. ყველა სოფელში ვრცელდება, მაინც რაში გამოიხატება ეს?

–ჩვენ ვემსახურებით, როგორც ქალაქს, ასევე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს, ძირითადად დასუფთავების და განათების კუთხით. ძალიან აქტიურად ვართ ჩართული პრემიერის გადაწყვეტილებით, ბენეფიციარების დასაქმების მეშვეობით, სოფლების ტერიტორიების მოვლაში.

თქვენს მომსახურებაში, სამომავლოდ კიდევ რაიმე სიახლის დანერგვა ხომ არ იგეგმება?

–ვმუშაობთ პროექტებზე რამდენიმე მიმართულებით, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად აისახება ჩვენი მოსახლეობის უფრო კომფორტულ მომსახურებაში.

რა სახის ტექნიკა გემსახურებათ. ასწრებთ მომსახურებას ყველგან და ყოველთვის დროულად?

–ამჟამად გაგვაჩნია სამი სხვადასხვა მოცულობის ნაგვის გადამზიდი სპეცმანქანა და ერთი ამწე-კალათა, რაც სამსახურის ფუნქციონირებისთვის არ არის საკმარისი, ხშირად გვექმნება პრობლემები, მაგრამ მომავალი წლისთვის ადგილობრივი მთავრობა, პირადად ქალაქის მერი, ბატონი დავით ბუკია გვპირდება მაქსიმალურ მხარდაჭერას, როგორც ტექნიკის შეძენაში, ასევე ჩვენთვის საკუთარი საქმიანი ეზოს და ადმინისტრაციული შენობის აშენებაში.

როგორ ფიქრობთ, ფიზიკურად მომუშავე ადამიანთა ანაზღაურება არის მათთვის მისაღები, ე.ი. მუშები ანაზღაურებით კმაყოფილია?

–უნდა ითქვას, რომ ჩვენთან დასაქმებული მუშების ანაზღაურება ნამდვილად საჭიროებს გადახედვას. ჩვენი თანამშრომლები თავიანთი შრომიდან გამომდინარე, ნამდვილად იმსახურებენ ღირსეულ ანაზღაურებას. აქვე ვიტყვი, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მომავალი წლიდან ამ საკითხის გადაწყვეტასაც გვპირდება.

მადლობა ინტერვიუსთვის. იმედია შ.პ.ს „ხობი დასუფთავება და განათება“ მომავალშიც განსაკუთრებულ წვლილს დაიდებს მუნიციპალიტეტში მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

–მადლობა გაზეთ „ხობის მოამბეს“, რომ დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით. ვცდილობთ სიახლეების მოლოდინით ჩვენზე დაკისრებული საქმეები საჭიროებისამებრ შევასრულოთ. იმედია, ამის განხორციელებაში განსაკუთრებულად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვეხმარებიან.

მჯერა, ხობი გახდება სუფთა, განათებული და ლამაზი ქალაქი.

ესაუბრა
ნანი კილასონია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში მდინარე მუნჩიასთან ნაპირსამაგრის მოწყობა დასრულდა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა.

ინფრასტრუქტურული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 124 997 ლარს შეადგენს

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარა-გზამშენი პირველი“ აწარმოებდა.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუკრი ხასია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

პროექტის შესაბამისად რეაბილიტირდება დარბაზი, გასახდელი, სპორტული ინვენტარის ოთახი და კორიდორი. დამონტაჟდება კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ელექტრო გაყვანილობა. ოთახები აღიჭურვება ავეჯით, განთავსდება მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ი/მ სოსო გოგია აწარმოებს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 82906 ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

„სოფლის განვითარების სააგენტოს“ ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელმა დათო ღადუამ მერის წარმომადგენლებს „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა“ გააცნო.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი, დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, როგორც ახალი საქმიანობის დაწყება, ასევე არსებულის გაფართოება/მოდერნიზება შემდეგი მიმართულებით/მიზნობრიობით:

• რძის პირველადი წარმოება–შენობა-ნაგებობისა (პირუტყვის სადგომი) და ფერმის მოწყობისთვის საჭირო მცირე აღჭურვილობის თანადაფინანსება;

• ვეტერინარია და ხელოვნური განაყოფიერება–მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების თანადაფინანსება;

• ალტერნატიული საქმიანობები ახალგაზრდებისთვის (კაცები 18-35 წელი, ხოლო ქალები 18-40 წლის ჩათვლით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაცხოვრებელი)–არაუმეტეს 100 კვ.მ სათბურის მოწყობის თანადაფინანსება;

• მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტრო სადგურის მოწყობა (არაუმეტეს 5 კვ. ტ სიმძლავრე)–რძის პირველადი წარმოების ბენეფიციარებისთვის;

• სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის/სისტემის დანერგვა–მცირე და საშუალო ზომის რძის გადამამუშავებელი საწარმოს და რძის შემგროვებელი პუნქტის ბენეფიციარებისთვის.

„ბათუსი“, ქუთაისის „მართვე“, მარტვილის და ფოთის საფეხბურთო სკოლების, ზუგდიდის „ოდიში 1919“-ის, „ხობის კოლხეთის“, ოზურგეთისა და ხონის სასპორტო სკოლების (2012-2013 წლებში დაბადებული) ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

29 აგვისტოს, პაატა თათარიშვილის სახელობის ხობის ცენტრალურ სტადიონზე, ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის, ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები გაიმართა.

ფინალში ფოთის „კოლხეთი“ და ხობის “კოლხეთი” შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში გამარჯვება ფოთელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს და მემორიალური ტურნირის გამარჯვებული გახდნენ.

საფეხბურთო ტურნირში ბათუმის

ტურნირის ფინალურ მატჩს და დაჯილდოების ცერემონიალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციისა და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნიასთან და საკრებულოს ბიუროს სხვა წევრებთან ერთად წარმატებულ ხობელ სპორტსმენებს: ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, 15 და 17 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონს, ვახტანგ ლოლუას და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ოქროს მედალოსანს, მოკრივე დიმა ქაჯაიას, მწვრთნელებთან ერთად შეხვდა.

ლევან ქავთარაძემ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს საკრებულოს სახელით სიმბოლური საჩუქრები გადასცა და მადლობა გადაუხადა მიღწეული წარმატებებისთვისა და ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ხობის მუნიციპალიტეტს ნარჩენების შესაგროვებელი 200 ერთეული კონტეინერი გადმოსცა.

ნარჩენების შესაგროვებელი ურნები ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გადანაწილდება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და ასოციაცია „მერკურის“ მხარდაჭერით, სექსუალური შევიწროების და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა.

ასოციაციის წარმომადგენლებმა, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სერვისების შესახებ, ხოლო სპორტის სფეროში დასაქმებულებს, ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიაწოდეს ინფორმაცია და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სერვისების შესახებ გამართულ შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია ესწრებოდა.

მიმდინარე წლის 15 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტსა და ასოციაცია „მერკურს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მხარეების ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს: ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებასა და განხორციელებას.

კაცად დარჩა...
კარლო კორტავა

ნახევარ წელზე მეტია, საზოგადოება „ხობელის“ დარბაზში იმართება დამსახურებული ხობელების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები. აქ შეკრებილნი იხსენებენ იმ ადამიანების ცხოვრებას, ვინც ღვთისგან მომადლებული ნიჭი, ენერგია უშურველად მოახმარეს სოფელს, რაიონს, ქვეყანას.

სიცოცხლე ნაპოვნ განძს გავს, მის მოსაპოვებლად შრომა არ გიწევს, მოფრთხილება კი დიდი ჭირდება. ეს მოფრთხილება გვასწავლის, უფალს შევთხოვოთ შეგვაცნობინოს, თუ რისთვის მოვედით სიმართლისა და მარადისობის ქვეყნიდან ამ დროებით წუთისოფელში. ვინც ღვთის ნებას მისდევს, აუცილებლად ირწმუნებს, რომ სიცოცხლეს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: „იცოცხლე ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე“. მხოლოდ ასეთი გატარებული სიცოცხლე გაძლევს ნებას, ვალმოხდილმა მიაშურო ზეციურ სასუფეველს. შენს სიცოცხლეს კი მარადიულ ხსოვნაში გააგრძელებენ ისინი, ვისთანაც ერთად გიცხოვრია, სიყვარული გითესია, სიკეთე გიკეთებია და მადლი მოგიმკია...

სწორედ ასე იცოცხლა და იცხოვრა კარლო კორტავამ. ის გახლდათ თვალსაჩინო პიროვნება, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქმის ზედმიწევნით მცოდნე, მაღალკვალიფიციური, პრინციპული, გულისხმიერი, მომთხოვნი, დახვეწილი ინტელიგენტი.

ნათქვამია, თუ ადამიანობით ხარ დაჯილდოებული, მერე შენ აჯილდოებ ყველა გვერდით მდგომს. ასე აჯილდოებდა ბატონი კარლო მის გვერდით მყოფთ. განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ამხნევებდა, მოძღვრავდა, ეხმარებოდა. არასდროს შეუნიშნავთ თანამდებობის პირებისთვის დამახასიათებელი ამპარტავნობით, ქედმაღლობით. თავად სისადავით და უბრალოებით გამორჩეული სხვასაც მაგალითს აძლევდა.

ადამიანის თავმდაბლობა და თავაზიანობა მისი კუთვნილებაა, რაც უფრო ღრმად აზროვნებს პიროვნება, რაც უფრო განათლებული და კულტურულია, მით უფრო თავმდაბალია...

არასოდეს დამავიწყდება თეთრი პერანგით, შავი ჰალსტუხით შავ პიჯაკში გამოწყობილი რესპექტაბელური გარეგნობის, საფეთქლებთან შეჭაღარავებული, მკაცრი, მაგრამ სანდომიანი სახის მამაკაცი, რომელსაც ხობში, და არა მარტო, იცნობდნენ, როგორც კაცური კაცი და ამ სახელით წუთისოფელში კაცად დარჩა... სოფელი ხომ ბრძენია, შეფასებაში არ ცდება. ის ამ წუთისოფლის სული და გული იყო.

და აი წლები გავიდა...

დასანანია ბატონ კარლოს და მისი მეუღლის გარეშე მათი ეზო-კარი... ბედნიერი იქნებოდა ის სახლიც, ის ეზოც ყვავილის სურნელებით, ნაირ-ნაირი, ხეხილით სავსე, ასე სათუთად, რომ უვლიდა ულამაზესი ქალბატონი ზინა ხასია-კორტავა, რომელიც საოცარი მეუღლის და ულამაზესი შვილის დარდს გადაყვა.

ბატონი კარლო კორტავას დიდი ოჯახის წარმომადგენლებს–შვილებს, შვილიშვილებს, ვინც ღირსებითა და სიამაყით ატარებთ საუკეთესო მამის და ბაბუის ტრადიციებს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

P.S. ასეთი ოჯახების სიმაღლე მიწიდან კი არა, მართლაც ფესვებიდან იზომება. ქართულ მიწაზე აღმოცენებული მშობლიურ ტრადიციებსა და სულიერებაზე დაფუძნებული...

კორტავების დიდი ოჯახის თითოეულ განშტოებას სწორედ, რომ ფესვებიდან მოსდევს ჯანმრთელი და საღი სულიერება, რომელიც შემდეგ თავის განსხვეულებას ჰპოვებს ურთიერთობებში, პროფესიონალიზმში, პირად თუ საქვეყნო საქმეებთან მიმართებაში, მათ იციან, სწამთ, რომ მათი მშობლების შთამომავალთ უფლება არა აქვთ არ ახსოვდეთ საიდან მოდიან, ვის ფუძეზე დგანან და საით წავიდნენ, ან რა გზით უნდა იარონ, რომ სასახელო მამის და ბაბუის ღირსება კიდევ უფრო აამაღლონ და საქვეყნო გახადონ.

პატივისცემით
ნაირა ბერაია.

ის ხობს მოუკვდა!..
ლევან ქავთარაძე

ძალიან ბევრ ხობელს ჰქონდა ბედნიერება ემეგობრა ისეთ ადამიანთან, როგორიც ლევან ქავთარაძე გახლდათ. გამონაკლისი არც ჩვენი ოჯახი იყო.

ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ჩამოყალიბებული ექიმი, ხობში დაფუძნებული, უფროს მეგობრად, შეიძლება, ითქვას, ძმად მიიღო ჩემმა ოჯახმა. ბებიას, დედას და მამას ძალიან უყვარდათ ეს კეთილშობილი, ცოდნითა და პატიოსნებით გაჯერებული ადამიანი. ჩვენს საოჯახო სუფრაზე მისთვის ადგილი ყოველთვის მოიძებნებოდა (შემონახული იყო)... როცა ლუიზაზე დაქორწინდა, დღე არ იყო მათი ოჯახის სტუმარი არ ყოფილვიყავი. ის წლები მთელი ჩემი ცხოვრება, ყოველთვის სანუკვარ მოგონებად დარჩება. როცა მეც ოჯახი შევქმენი, ეს ურთიერთობა უკვე სხვაგვარი გახდა, ერთურთს ასე ხშირად ვერ ვხვდებოდით, თუმცა მეგობრობა და ძმობა, სიყვარული არ გამქრალა. ისევ ძველებურად გრძელდებოდა. შემდეგ ეს ურთიერთობები უფრო მეტად ისევ ოჯახთან, ჩემს მშობლებთან, დებთან და ძმასთან, განსაკუთრებით ნუნუსთან მეგობრობით გრძელდებოდა. ის ჩვენი დიდი ოჯახის კეთილი და სანდო მეგობრად დარჩა...

აგვისტოს თვე სევდით და ცრემლით იყო გაჯერებული, რადგანაც ასაკში მყოფი ლევანი გარდაიცვალა. იყო სევდა, რომელსაც მადლიერების ცრემლებიც ახლდა, რადგან მას ხობში (და არამარტო) უამრავი მადლიერი ჰყავდა...

ამბობენ, ვინც მოკვდა, თავის თავს მოუკვდაო. ლევან ქავთარაძე კი არა მარტო თავს, ის ხობს მოუკვდა. ხალხისგან ჭეშმარიტი ექიმის, კარგი და სანდო მეგობრის, მოყვასის მოყვარულის, განათლებულის, ახალგაზრდების დამრიგებლის, საოცრად თბილი და კეთილი, ნამდვილი ინტელიგენტის, პეწიანი და სათნო ადამიანის ტიტული ჰქონდა მინიჭებული. მას ყველა პაციენტი, მეგობარი და ნაცნობი განურჩევლად უყვარდა და პატივს მიაგებდა. მისთვის დაღვრილი ცრემლებიც, სწორედ ამის საზღაური იყო...

ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა ჩვენო მეგობარო, კარგო ადამიანო. ვწუხვარ და მტკივა შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. კარგი იქნებოდა, ხობელებთან ასეთი დამოკიდებულება, ცოდნა-გამოცდილება კიდევ გაგრძელებულიყო. ვაგლახ! წუთისოფლის კანონებს ვერავინ შეცვლის.

ლევან, იცოდე, მეც და ჩემს დიდ ოჯახს ძველებურად უყვარხარ, ჩვენო უფროსო მეგობარო, ძმაო, კარგო ადამიანო!..

ხობელებს კი ვეტყვი, ლევანი მარადისობაში გადასახლდა, მაგრამ დარჩა მის მიერ დაარსებული კლინიკა, სადაც მისთვის ძვირფასი პროფესიონალი ადამიანები მუშაობენ. ამ კლინიკას დიდებული ადამიანის ლევან ქავთარაძის სახელი ეწოდა.

ნანი კილასონია.



ხობელ საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება ბატონი ბურამ ლატარია.

ჩემო გურამ, მწუხარების გამოხატვას სიტყვამრავლობა არ შვენის!

მოხდა ისე, რომ ხობელებმა ერთმანეთი სოხუმში გავიცანით, შენ ჩემს მერე მოხვედი „პირველ ვაჟთაში“.

დავმეგობრდით და სანამ ფეხზე ვიდექით, მეგობრობაც „უხინჯოდ“ ჩავამთავრეთ! იქ კარგი ბიჭი იყავი და აქ ხობელებმა ხომ იციან და იციან შენი კაცურკაცობის, გულმართლობის და დიდბუნოვნების შესახებ...

მაპატიე, რომ ვერ გაცილებ! იქ შევხვდებით!..

გოგი ბუკია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანავუგრძნობთ ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის დირექტორს–ქეთინო გაბისონიას და ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს–გოგიტა ჩიტაიას დედამთილის და დედის

გულნარა (გული) ალექსანდრეს ასული გაბუნიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებით თანავუგრძნობთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, საპატიო ავტორს, ხობის საპატიო მოქალაქეს ბატონ გოგიტა ჩიტაიას ჭირნახული დედის

გულნარა (გული) გაბუნია–ჩიტაიას

გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ მის ოჯახს. ქალბატონ ქეთინო გაბისონიას, შვილიშვილებს ბარბარე და მარიამ ჩიტაიებს.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცენტრის ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტს ბატონ კობა გოქაძეს დედის

მზიური ახალაია-გოქაძის

გარდაცვალების გამო.

ვულოცავთ!

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა, ხობელმა ნუგზარ წურწუმიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ულოცავთ, ხობელ სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობას.

საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე–„ბათუმის მერიის თასი–2022“ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სასპორტო სკოლის მოჭადრაკემ, ლიკა ჭანტურიამ (მწვრთნელი ირაკლი გეთია) pen–კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო ტურნირზე 8 ქვეყნის 200 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის, ბათუმის მერიის და საჭადრაკო კლუბ „ნონას“ ორგანიზებით ჩატარდა.

პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა

თეატრი–შემოქმედებითი ცხოვრება

„არც ერთ ხალხს არ შეუთვისებია ისე თეატრი, როგორც ქართველებს“, გვმოძღვრავს დიდი ილია. თეატრი ხომ შემოქმედებითი ცხოვრებაა, სახეების შექმნა, დაუღლელი შრომა და მაყურებლის შეფასებაა.

როცა ქვეყანაში პანდემია მძვინვარებდა, არც მაშინ შეუწყვეტია ხობის კულტურის ცენტრის შემოქმედებით ჯგუფს თანამემამულეებისთვის სულიერი საზრდოთი გაეხანგრძლივებინა სიცოცხლე.

30 აგვისტოს, კულტურის სახლის დიდ დარბაზში, შედგა მორიგი პრემიერა „სტუდენტური ოინები“ (დამდგმელი რეჟისორი რამაზ ლოლუა).

მაყურებლის მზერა იმთავითვე სპექტაკლის შესატყვისად გაფორმებულმა სცენამ–რეკვიზიტებმა მიიპყრო, რაც მოყვარული მსახიობების და პროფესიონალი რეჟისორის რამაზ ლოლუას, ახალბედა „მსახიობების“ ანა გოგუას (თბილისის ჰუმინიტარული ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი), საბა ჟვანიას, (ქ. თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი), სკოლის მოსწავლეების სალომე ტურავას და ვახტანგ მიქავას დამსახურებაა.

სცენაზე მონაწილეები ცოტა არ იყოს, ღელავდნენ, მაგრამ თავიანთ როლს მაქსიმალური შესაძლებლობებით ასრულებდნენ, რაც ყველაზე მთავარია, მათ ორიგინალურად შერჩეული და გათავისებული ჰქონდათ ესოდენ რთული როლები. პიესაში განხილული იყო სტუდენტური ოინები, ოჯახის შექმნის არატრადიციული გადაწყვეტილებები, როცა არჩევანი უფროსების დაუკითხავად ხდება.

მამის როლს მთელი არტისტიზმით ახორციელებდა თავად რამაზ ლოლუა, რომელსაც მაყურებლის სიმპათია და ოვაცია სპექტაკლის ბოლომდე არ აკლდა.

მამა გლეხია, ტრადიციების დამცველი, იგი შვილების გადაწყვეტილებებს პატივს სცემს.

აქედან კი იკვეთება მამის სიტყვის სიძლიერის ფასი. მართალია ოინებია, მაგრამ კარგად ჩანს ერთდროულად აწმყოს და ასევე წარსულის პატივისცემა... ინსცენირება გამოირჩეოდა ქორეოგრაფიის აკადემიურობით.

საღამოს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მერის მოადგილე დავით ბერაია და სხვა ხელმძღვანელი პირები, განათლების სფეროს წარმომადგენლები.

მაყურებლებმა პრემიერის დამთავრებისთანავე აღფრთოვანება ვერ დაფარეს და კულისებშივე მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს. აღნიშნეს, რომ ეს თეატრის შემოქმედებითი ჯგუფის დიდი გამარჯვებაა. ერთი სიტყვით, სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა.

მომავალ წარმატებებს ვუსურვებ მათ.

ნაირა ბერაია.

პატარების მესაიდუმლე

ერთ-ერთი მათგანი ყველასათვის ახლოებლი, ბაგა ბაღის მეთოდისტი ნატო ხურცია-ცხადაია გახლავთ. სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი, კარგი მეგობარი, მოსიყვარულე დედა და ბებიაა...

სრულიად ახალგაზრდას დიდი ტკივილითა და საზრუნავით მხრებდამძიმებულს (მეუღლის ბეჟან ცხადაიას უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის გამო). არასოდეს ჩაუმუხლავს, დიდი ოჯახის დიასახლისმა, ქალ-ვაჟის დედამ

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო სკოლამდელი ასაკია... ამასთან ერთად ამ სილაღეში იძერწება პატარების სული. ამიტომ არის ყველაზე მთავარი, როგორ გარემოში ხვდება პატარა, როგორ შეიმეცნებს, როგორ აღიქვამს სამყაროს... იგი საბავშვო ბაღში სწავლობს სწორ მეტყველებას, მეგობრობას, სიყვარულს, შეჩვევას ირგვლივ მყოფ ადამიანებთან...

უცხოს არაფერს ვიტყვი, თითქმის ყოველი მათგანის პირველი დღეები ცრემლითა და მშობლის „მონატრებით“ იწყება... მშობელი კი ყოველთვის გულისყურით არჩევს იმ საბავშვო ბაღს, სადაც თავის პატარას ყველაფერი „წესრიგში“ ხვდება...

წელთა სიმრავლემ კი დღემდე ვერ გააუფერულა ლამაზად ნათქვამი „ყველაფერი ბავშვობიდან იწყება“.

სექტემბერი დგება და თვალს ვავლებთ იმ ადამიანებს, ვისაც შვილების ცხოვრების პირველ ნაბიჯებს ვანდობთ...

ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი (მთავარი სპეციალისტი ნარგიზა ტუღუში) ამ მხრივ მართლაც „მდიდარია“, სასიამოვნოა, რომ აქ თანამშრომლებში მჯობნის მჯობნს ვერ გაარჩევ.

მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, ყველა თანამშრომელი ნაცნობი, ახლობელი და გამოცდილია, (ამაზე მათი საზეიმო თუ გამოსაშვები ღონისძიებებიც მეტყველებენ).

ახლობლების თანადგომით საკუთარ თავში იპოვა ძალა და მისხალ-მისხალ შეგროვილი სიკეთით საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა.

არც სამსახურებრივი დატვირთვა აკლდა, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული–სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მაშინდელ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში საქმეთა მმართველად. ხოლო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სკოლამდელ დაწესებულებაში აღმზრდელ-მასწავლებლად, სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში– საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორად.

ამჟამად არის ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი, მრავალი ტრენინგ-მოდულებგამოვლილი...

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ქალბატონ ნატოს დიდი დამსახურებაა მისი მშობლიური კოლექტივის წარმატებები...

წლებს თავისი მიაქვს, თუმცა არანაკლებ სასიამოვნო დღეები და მოგონებები ახლავს სექტემბრის დილას... ყოველ ჯერზე ასე რომ ულამაზებს საყვარელ პატარებთან შეხვედრის სიამოვნებას.

გილოცავთ ქალბატონო ნატო, კიდევ დიდხანს იყავით წარმატებული დედა, ბებია, ოჯახის ბურჯი და კოლეგების ლხინის მოზიარე.

მერი ლაგვილავა

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.